ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

ანგარიში

2018 წლის 6 თვის გაწეული მუშაობის შესახებ

01.01.2018 წ. – 01.07.2018 წ.

2018 წელი

1. შესავალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური ფუნქციონირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, ასევე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას.

2. მოკლე მიმოხილვა

2018 წლის წლიური გეგმით, I და II კვარტალში გათვალისწინებული იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის 1 სტრუქტურული ერთეულის (სამსახურის) შიდა აუდიტორული შემოწმება. აღნიშნულ ობიექტებს ჩაუტარდათ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, წლიური გეგმის საფუძველზე, შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდათ შემდეგ ობიექტებს:

1. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი";
2. ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009";
3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
4. ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ზუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა".

გაიცა 28 სხვადასხვა ტიპის რეკომენდაცია, რომელთა შესრულების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, სამსახურის მიერ ეტაპობრივად ჩატარდება მონიტორინგები.

ასევე, შიდა აუდიტორული შემოწმებების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად მონიტორინგი ჩაუტარდათ შემდეგ ობიექტებს:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური;
2. ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009";
3. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება";

4. შპს „ხარაგაული 2011";
5. ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი".

2018 წელს სამსახურის მიერ განხორციელდა 2 ადმინისტრაციული მოკვლევა. ასევე, პერიოდულად ტარდება მოსამსახურეთა დასწრების მონიტორინგი, როგორც მერიაში, ასევე მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში. ძირითადად განხორციელებულია შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტები. ამჟამად მიმდინარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმება.

## 3. განხორციელებული ღონისძიებები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2018 წელს ჩატარებული ყველა შიდა აუდიტორული შემოწმება მოიცავს 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდს.

- შიდა აუდიტის ობიექტი №1: ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"

2018 წლის 10 იანვრიდან - 12 თებერვლის ჩათვლით პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს". შემოწმება მოიცავდა 2015 წლის 1 იანვრიდან - 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდს.

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი

ობიექტი განთავსებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხულ შენობაში და მის მიერ დაკავებულ საოფისე ფართზე მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება. ობიექტს აუდიტორული შემოწმება ჩატარებული აქვს 2012 წელს, კერძო აუდიტის მიერ და 2015 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ. ამავე სამსახურის მიერ, ობიექტში ჩატარებულია 2015 წლის შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების მონიტორინგი.

ობიექტში ნაწარმოებია გასული და შემოსული კორესპონდენციების ჟურნალი და ბრძანებების წიგნი. აღნიშნული დოკუმენტები ზონარგაყრილია, მაგრამ გვერდები არაა დანომრილი. 2015-2017 წლების ბრძანებების წიგნებში გატარებულ ზოგიერთ ბრძანებაში მივლინებიდან დაბრუნების შესახებ არაა მითითებული, თუ რომელი მივლინებიდან მოხდა დაბრუნება. 10.08.2015 წ. №43 ბრძანებაში მივლინების შესახებ არაა მითითებული, თუ

რომელ ორგანიზაციაში იქნა მივლინებული პირი, ერთი ასეთი შემთხვევა არის 2017 წლის ბრძანებების წიგნშიც. 2016 წლის ბრძანებების წიგნში ერთ შემთხვევაში არაა გამოცემული ბრძანება მივლინებიდან დაბრუნების შესახებ, ასევე ერთი შემთხვევაა 2017 წელსაც. 03.03.2017 წ. №20 ბრძანებაში დირექტორის თბილისში მივლინების შესახებ არაა მითითებული მივლინების დღეების ოდენობა. შესამოწმებელი პერიოდის შრომითი ხელშეკრულებების ვადის გაგრძელების შესახებ ბრძანებებში არაა მითითებული დასაქმებულის ხელფასის ოდენობა.

2015 წლის 1 თებერვალს ჟურნალისტად მიღებულია თეა ბერიძე, მაგრამ შესაბამის ბრძანებაში არაა მითითებული შრომითი ურთიერთობის ვადა.

ხარვეზებია მივლინებების გაცემის კუთხითაც. მაგალითად, 30.08.2016 წ. №67 ბრძანებით ირკვევა, რომ დირექტორი, ეკა შავიძე, იმყოფება კუთვნილ შვებულებაში 12 სექტემბრამდე. ბრძანებების წიგნში გატარებულია 11 სექტემბერს შედგენილი ბრძანება დირექტორის, თბილისში ორდღიანი, 11-12 სექტემბერს, მივლინების შესახებ, მაშინ, როცა ის ამ პერიოდში იმყოფება შვებულებაში და მას შეჩერებული აქვს შრომითი ურთიერთობა (საქართველოს კანონი „შრომის კოდექსი"-ს 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტი). ასეთივე შეცდომაა დაშვებული 2017 წელს, დირექტორი იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, მაგრამ ამ პერიოდში ისარგებლა მივლინებით და აინაზღაურა მისი ღირებულება.

ცენტრის მიერ 2015-2017 წ.წ. შესყიდულია მობილური ტელეფონის სასაუბრო ბარათები, თუმცა, აღნიშნულის შესახებ არაა გამოცემული ბრძანება და არ ირკვევა ვინ გახარჯა სასაუბრო ლიმიტი. ამავე პერიოდში არის შემთხვევები, როდესაც საშტატო განრიგების შესაბამისად არაა დარიცხული ხელფასები.

ცენტრის მიერ შეძენილია სხვადასხვა სახისა და ღირებულების საჩუქრები, რომლებიც გადაცემულია სხვადასხვა პირებზე, მაგრამ გადაცემის ფაქტი არაა დადასტურებული დოკუმენტურად. ასევე, გაწეულია რესტორნის მომსახურების ხარჯები და არც ამ შემთხვევაშია დასაბუთებული ხარჯის გაწევის საფუძველი.

აღნიშნული ხარვეზები იწვევს ფინანსურ და შესაბამისობის რისკებს.

**სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.**

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

2015 წელს როგორც ა(ა)იპ გაზეთ „ახალი ხარაგაული"-ს შესყიდვების გეგმა ატვირთული აქვს 11,310 ლარის ოდენობის, ხოლო სახელწოდების ცვლილების შემდეგ ატვირთული აქვს შესყიდვების გეგმა 10,170 ლარის ოდენობის. ამავე წლის განმავლობაში დადებულია 15,237 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 13,502 ლარის ღირებულების მომსახურება.

2016 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია 27,730 ლარის ოდენობის. ამავე წლის განმავლობაში დადებულია 24,816 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 23,250 ლარის ღირებულების მომსახურება.

2017 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია 25,240 ლარის ოდენობის. ამავე წლის განმავლობაში დადებულია 13,856 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 11,200 ლარის ღირებულების მომსახურება.

2015-2017 წლებში განხორციელებული შესყიდვებისას დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომები, მაგალითად:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ ზოგიერთ ხელშეკრულებაზე ან/და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე არაა ა(ა)იპ-ის დირექტორის ხელმოწერა ან/და ბეჭედი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მატერიალურად ამ მხრივ სრულად გაფორმებული დოკუმენტები ინახება. არის რამდენიმე შემთხვევა, სადაც მიღება-ჩაბარება საერთოდ არაა ან არასრულადაა ატვირთული, მაგალითად 10.06.2015 წლის №4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების დოკუმენტები, ასევე 05.01.2016 წ. №1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების დოკუმენტები.
- ხშირ შემთხვევებში მიღება-ჩაბარების, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებების თარიღები შეცდომითაა. არის შემთხვევები, როდესაც მიღება-ჩაბარება საერთოდ უთარიღოდაა და მითითებულია მხოლოდ ის, თუ რომელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჩაბარება ხდება. მაგალითად, 01.06.2015 წელს შპს „ეტალონი-მედია"-სთან დადებული №5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების რამდენიმე დოკუმენტზე არაა მითითებული თარიღი. არის შემთხვევები, როდესაც შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის თარიღი წინ უსწრებს მიღება-ჩაბარების თარიღს, რაც ბადებს ეჭვს, რომ აღნიშნული დოკუმენტი კონკრეტული მომსახურების მიღებამდეა შედგენილი, ან თარიღი შეცდომითაა დასმული (მაგ.: 29.06.2015 წ. №7 ხელშეკრულება, 14.12.2015 წ. №13 ხელშეკრულება, 05.01.2016 წ. №2 ხელშეკრულება, 09.01.2017 წ. №3 ხელშეკრულება).
- 10.06.2015 წ. ი.მ. ვაჟა სამხარაძესთან დადებულ ხელშეკრულებას და 22.05.2015 წ. შპს „კოლორი"-სთან დადებულ ხელშეკრულებას მინიჭებული აქვთ ერთი და იგივე ნომერი (№1).

გაფორმებულ ხელშეკრულებებში ხელშეკრულების საგანი ძირითადად ძალიან ზოგადია და ძნელდება დადგენა კონკრეტულად რა მომსახურებას ითვალისწინებს იგი, ასევეა მიღება-ჩაბარებების შემთხვევებშიც. მაგალითად, დადებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ტრანსპორტის დაქირავებას მძღოლთან ერთად, მაგრამ არც

ხელშეკრულებაში და არც მიღება-ჩაბარებაში არ ჩანს, თუ რა საჭიროებისათვის, რა მანძილზე ან რომელი პუნქტიდან რომელ პუნქტამდე მოხდა მომსახურების გაწევა.

**შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.**

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს 2015 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან დაზუსტებული გეგმით დამტკიცებული აქვს 38,400 ლარი. განწერით, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 19,450 ლარი (51.40%), შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ - 4,150 ლარი (10.97%), მივლინებამ - 1,538 ლარი (4.06 %), ოფისის ხარჯმა - 3,865 ლარი (10.21%), სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯმა - 8,096 ლარი (21.39 %), არაფინანსური აქტივების ზრდამ (კომპიუტერის შეძენა) - 745 ლარი (1.97 %).

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს 2015 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 38,400 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 28.48 ლარი (ბანკიდან სარგებლის ჩარიცხვა). წლის დასაწყისში არსებული ნაშთი შეადგენდა 7.60 ლარს, სულ შემოსავალმა შეადგინა 38,436 ლარი.

2015 წელს „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაუმტკიცა საშტატო განრიგი 5 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 1,850 ლარი.

ა(ა)იპ-ის 2016 წლის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 62,011 ლარი. მათ შორის, შრომის ანაზღაურებამ სულ შეადგინა 40,190 ლარი (64.81%), წარმომადგენლობითმა ხარჯმა - 867 ლარი (1.40%), მივლინებამ - 1,771 ლარი (2.86%), კავშირგაბმულობის ხარჯმა - 580 ლარი (0.94%), საკანცელარიო საქონლის შეძენის ხარჯმა - 1,461 ლარი (2.36%), მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯმა - 955 ლარი (1.54%), რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯმა (სარეცხი საშუალებების შეძენა) - 214 ლარი (0.34%), საოფისე ინვენტარისა და დამონტაჟების ხარჯმა - 1,100 ლარი (1.77%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა - 1,305 ლარი (2.10%), სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯმა - 13,568 ლარი (21.88 %).

2016 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულია საშტატო განრიგი 6 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 3,330 ლარი.

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს 2016 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 63,991 ლარი.

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ის მიერ 2017 წელს შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 38,400 ლარი (73.96%), მივლინებაშ - 1,712 ლარი (3.30%), წარმომადგენლობითმა ხარჯმა - 300 ლარი (0.58%), კავშირგაბმულობის ხარჯმა - 1,170 ლარი (2.25%), ოფისის ხარჯმა - 2,678 ლარი (5.16%), მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯმა - 86 ლარი (0.17 %), რეცხვისა და ქიმწმენდის  ხარჯმა (სარეცხი საშუალებების შეძენა) - 220 ლარი (0.42%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა შეადგინა 1,900 ლარი (3.66%), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებისათვის გახარჯულია 5,454  ლარი (10.50%).

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს 2017 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 53,200 ლარი.

ცენტრს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებული აქვს 2017 წლის საშტატო განრიგი 6 საშტატო ერთეულით, ხელფასის წლიური ფონდი კი განესაზღვრა 38,400 ლარით.

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული აქვს  საშემოსავლო გადასახადი. თვეების მიხედვით განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადის შესახებ ინფორმაციით 2015 წლის განმავლობაში დარიცხული აქვს 5,150 ლარი,  2016 წლისათვის - 8,038 ლარი, ხოლო 2017 წელს - 7,680 ლარი, რაც გადარიცხულია ხაზინის ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე.

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი, ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებია მემორიალური ორდერებით. შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ძირითადი რისკები:

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას და ერთიან ელექტრონულ სისტემაში ანგარიშგებისას არსებული შეცდომები წარმოქმნის ფინანსურ და შეუსაბამობის რისკებს.

მივლინებების გაცემისას დაშვებული შეცდომები და საშტატო განრიგის მიხედვით გათვალისწინებულ თანამდებობრივ სარგოებსა და ფაქტობრივად გაცემულ ხელფასებს შორის შეუსაბამობა, ასევე ქმნის ფინანსურ და შეუსაბამობის რისკებს.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. საშტატო განრიგებში არსებული თანამდებობრივი სარგოები უნდა შეესაბამებოდეს იმავე საშტატო განრიგის მიხედვით დანიშნულ თანამშრომელთა ფაქტობრივ ხელფასებს.
2. მივლინების შესახებ უნდა გაიცეს როგორც წასვლის, ასევე დაბრუნების შესახებ ბრძანებები. სამივლინებო მოწმობები სათანადოდ უნდა იქნეს გაფორმებული. შვებულებაში ყოფნის პერიოდში პირს შეჩერებული აქვს შრომითი ურთიერთობა (საქართველოს კანონი „შრომის კოდექსი"-ს 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტი) და შესაბამისად, მასზე მივლინების გაფორმება დაუშვებელია, თუ არ მოხდება სამსახურში ვადაზე ადრე გამოცხადება შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.
3. სასურველია, ბუღალტრის მიერ ნაწარმოები იქნას მაგროვებელი დოკუმენტი - „მთავარი წიგნი", რომელიც იხსნება წლის დასაწყისში და წინა წლის ნაშთი გადმოიტანება მასში საწყისი ნაშთის სახით (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.12.2007 წ. №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ").
4. შესყიდვების განხორციელებისას, ხელშეკრულებები და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები უნდა გაფორმდეს სრულყოფილად და ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთოს სრულად, კანონით დადგენილი ვადების დაცვით. ასევე, წლის განმავლობაში დადებული ხელშეკრულებების ნუმერაცია უნდა იყოს თანმიმდევრული.
5. დადებულ ხელშეკრულებებსა და გაფორმებულ მიღება-ჩაბარებებში, სასურველია შესყიდვის საგანი ან/და გაწეული მომსახურება მაქსიმალურად იყოს დაკონკრეტებული. ასევე, საჩუქრების გადაცემის შესახებ უნდა გაფორმდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარებები პიროვნებების მითითებით და მიმღებების ხელმოწერებით.

➢ შიდა აუდიტის ობიექტი №2: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009"

2018 წლის 14 თებერვლიდან - 22 თებერვლის ჩათვლით პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბს „ჩხერიმელა 2009". შემოწმება მოიცავდა 2017 წლის 1 იანვრიდან - 2018 წლის 24 იანვრამდე პერიოდს.

კლუბს 2014 წლის 1 ოქტომბერს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაგან გადაცემული აქვს 534 მ² სპორტ-დარბაზის შენობა, რომელიც განთავსებულია 865 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

კლუბს აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა 2012 წელს, რომელიც მოიცავდა 2009-2012 წლების პერიოდს. შემოწმება ჩატარებულია სახელმწიფო აუდიტის მიერ. ადმინისტრაციის მიერ არ იქნა გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზები და მათ აღმოსაფხვრელად არ იქნა სათანადო ზომები გატარებული. 2015 წელს ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ. აღნიშნული შემოწმებიდან 3 თვის შემდეგ ჩატარდა მონიტორინგი, რომლის შედეგებმაც ცხადყო, რომ კლუბმა ნაწილობრივ გამოასწორა 2012 წლის აუდიტის მიერ აღმოჩენილი ხარვეზები. 2017 წელს კლუბს ისევ ჩაუტარდა შიდა აუდიტორული შემოწმება, რა დროსაც იგივე ხარვეზები გამოიკვეთა მის საქმიანობაში, რაც წინა წლებში და ობიექტის ადმინისტრაცია, თითქმის არ ცდილობს მათ გამოსწორებას. 2017 წელს კლუბს ჩაუტარდა 2016 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტორული კომპანია „ინტელექტ აუდიტი"-ს მიერ. ანგარიში მოიცავს საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009"-სა და ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი"-ს შორის 2017 წლის 2 თებერვალს დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, ფინანსური ხარჯების შემოწმებას ზემოთხსენებულ პერიოდში. შედგენილია 2 დასკვნა, საიდანაც ირკვევა, რომ კლუბს არ აქვს აღნიშნულ ხელშეკრულებასთან მიმართებით ფინანსური დარღვევები.

ობიექტს ნაწარმოები აქვს სამი ტიპის ბრძანებების წიგნი: მივლინებების, შეღავათების, საყვედურების, წახალისებების და საავადმყოფო ფურცელზე გადაყვანის, თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლების და გადაადგილების შესახებ და ძირითადი ხასიათის ბრძანებების.

მივლინებების, შეღავათების, საყვედურების, წახალისებების და საავადმყოფო ფურცელზე გადაყვანის შესახებ ბრძანების წიგნში არაა მივლინებიდან დაბრუნების შესახებ ბრძანებები. თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლების და გადაადგილების შესახებ ბრძანების წიგნში შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ ბრძანებებში არაა მითითებული ხელფასის ოდენობა.

სექტემბრის თვეში დამხმარე მწვრთნელს ორჯერ აქვს მიღებული ხელფასზე დანამატი კლუბის შინაგანაწესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად (ერთდროული ფულადი ჯილდო) მაშინ, როცა ამავე თვეში რამდენიმე ფეხბურთელს, დისციპლინური ღონისძიების სახით, ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის, დაქვითული აქვს ხელფასის თანხის 5%. კლუბის „თანამდებობრივი ინსტრუქციების" მე-4 პუნქტის „ა" პუნქტის თანახმად, დამხმარე მწვრთნელი ასრულებს გუნდის მთავარი მწვრთნელის დავალებებს გუნდის სათანადო მომზადების და გუნდში დისციპლინის დაცვის კუთხით. როგორც მთავარი მწვრთნელის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ფეხბურთელების მხრიდან ადგილი ჰქონდა დისციპლინურ გადაცდომას, რაზეც გარკვეულწილად პასუხისმგებლობა მოეთხოვება დამხმარე მწვრთნელსაც. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდში მისთვის ზედიზედ ორჯერ დანამატის გაცემა ერთდროული ფულადი ჯილდოს სახით, საფუძველს მოკლებულია.

შესყიდულია სამედიცინო მედიკამენტები, მაგრამ ექიმს არ აქვს აღრიცხული მათი გახარჯვა, რაც ქმნის ფინანსური რისკის საფრთხეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 10 იანვრის №4961 ბრძანებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის მიზნით შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ ჩაატარა კლუბის ქონების ინვენტარიზაცია და შეადგინა შესაბამისი დასკვნა. რადგან 2018 წლის 24 იანვარს შეიცვალა კლუბის ხელმძღვანელი, უნდა მოხდეს კლუბის ბალანსზე რიცხული ქონების გადაბარება ძველი დირექტორიდან ახალზე.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების განხორციელების, მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.

კლუბი დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2017 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებულია 101,180 ლარის შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" მე-5 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები ან ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტი რეგისტრირდება CMR-ში, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია, ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება" ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება").

ერთიან ელექტრონულ სისტემაში ანგარიშგებისას აღნიშნული წესი დარღვეულია რიგ შემთხვევებში, კერძოდ, სხვადასხვა იურიდიულ/ფიზიკურ პირებთან დადებული №1, №4, №8, №9, №10, №11, №12, №13, №17/23, №20 ხელშეკრულებები და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურებების მიღებაჩაბარების აქტები ატვირთულია დაგვიანებით. ძირითადად დაგვიანებითაა ატვირთული მიღება-ჩაბარების აქტები, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში მიღება-ჩაბარებების აქტები საერთოდ არაა ატვირთული.

შპს „ბენზო"-სთან დადებულია ორი ხელშეკრულება №3 (10.01.2017) და №17 (02.10.2017) საწვავის შესყიდვაზე. ხელშეკრულებებში მითითებული საფუძველი შეცდომითაა, კერძოდ, მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მითითებული უნდა იყოს ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი. ასევე, ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს საწვავის ტიპი და მახასიათებლები.

კლუბის მიერ შესყიდულია ტრანსპორტის დაქირავების მომსახურებები, ერთ შემთხვევაში მითითებულია და ხელშეკრულების პირობებში გაწერილია გადაადგილებების შესახებ ინფორმაცია, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ასეთი სახის ინფორმაცია არაა, რაც შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულების ღირებულება ფაქტობრივად განსახორციელებელი/განხორციელებული მომსახურების ღირებულებას.

06.02.2017 წლის №9 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია წლის ბოლოს, რეალურად კი მომსახურებები გაწეულია ეტაპობრივად და შესაბამისად თანხების ნაწილიც გადახდილია საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე.

წლის განმავლობაში შესყიდული პროდუქცია თუ ინვენტარი თითქმის არცერთ შემთხვევაში არ აღირიცხება და შესაბამისად, მათი გახარჯვაც არსადაა ნაჩვენები, რაც ქმნის საკმაოდ ბუნდოვან სურათს და შეუძლებელია გარკვევა, კონკრეტულად სად ან რისთვის დაიხარჯა, ან რამდენად მიზნობრივად იქნა გამოყენებული ის.

**შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ქონების აღრიცხვის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების ფინანსური ანგარიშების მომზადების, ძირითადი აქტივების, ფულადი ანგარიშების მოთხოვნების და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.**

მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2017 წლის 29 მაისს დამტკიცებულია საშტატო განრიგი, რომელიც განსაზღვრულია 13 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით - 6,835 ლარი. ხელფასების დარიცხვა აღნიშნული საშტატო განრიგის შესაბამისად კი განხორციელებულია 1 მაისიდან, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ბრძანებაშიც არ არის ჩანაწერი მომატებული ხელფასის ოდენობის შესახებ.

კლუბის თანამშრომლების განცხადებების საფუძველზე, ერთმანეთის შორის ვალის გასტუმრების მიზნით, ადმინისტრაციას გადარიცხული აქვს ერთი თანამშრომლის სახელფასო თანხა სხვა თანამშრომლის სახელფასო ანგარიშზე. აღნიშნული ხასიათის საკითხები მხარეების მიერ უნდა მოგვარდეს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად და არა აღნიშნული წესით. აღნიშნული ხასიათის ფაქტი არსებობდა წინა შიდა აუდიტორული

შემოწმებების დროსაც, რის გამოც მიეცა ობიექტს რეკომენდაციები, რაც არ იქნა გათვალისწინებული.

2017 წელს ჩატარებული შემოწმებისას გამოვლინდა საშემოსავლო გადასახადის 220 ლარით ნაკლები გადახდა, რაც არ არის შესრულებული და კვლავაც კლუბის დავალიანებას წარმოადგენს.

კლუბის ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი, ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი რისკები.

ადამიანური რესურსების მართვის პროცესში არსებული ხარვეზები ქმნის კანონშეუსაბამობის რისკებს.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებისა და ანგარიშგების ვადების დარღვევა ქმნის კანონშეუსაბამობისა და რეპუტაციის შელახვის რისკს.

შემოწმებული ობიექტის ხელმძღვანელის მოსაზრება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტზე (თან ერთვის).

ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ ჩხერიმელა-2009"-ს დირექტორმა პაატა ლურსმანაშვილმა წარმოადგინა საკუთარი აზრი შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით.

1

[illegible]

[illegible]

27. 11. 2018 წ.
№ 11

[illegible]

[illegible]

1. [illegible]

2. [illegible]

3. [illegible]

მოსაზრების პირველ პუნქტს, ფეხბურთელთა დანიშვნის შესახებ ბრძანებების შედგენის საკითხთან დაკავშირებით, შიდა აუდიტის სუბიექტი ითვალისწინებს და არ ასახავს ანგარიშში. ასევე, შიდა აუდიტორები ეთანხმებიან მოსაზრების მე-4 პუნქტს მონეტარული ზღვრების დარღვევაზე და არც აღნიშნული საკითხი აისახება ანგარიშში.

რაც შეეხება მოსაზრებას, მასზედ, რომ შრომითი ხელშეკრულებების გაგრძელების შესახებ ბრძანებაში დასაქმებულის ხელფასის ოდენობის მითითება არაა აუცილებელი, ვთვლით, რომ სასურველია ხლფასის ოდენობის მითითება, რადგან არ წარმოიშვას შეუსაბამობა შრომის რეალურ ანაზღაურებასა და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ ხელფასის ოდენობას შორის. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი შეუსაბამობა აღმოჩნდა შესამოწმებელ პერიოდში.

ვერც დამხმარე მწვრთნელისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის საკითხის მართებულობას დაეთანხმებიან შიდა აუდიტორები, რადგან კლუბის შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების საფუძვლები არ არსებობდა. ფულადი ჯილდოები მწვრთნელს მიღებული აქვს 8 სექტემბერს, მაშინ, როცა ამ გუნდს წაგებული აქვს 6 სექტემბრის თამაში „მარგვეთი-2006"-თან და 29 სექტემბერს, როცა ამ თარიღით შედგენილია ბრძანებები გუნდის 5 ფეხბურთელის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ. გუნდის წევრების მიერ ხელშეკრულების პირობების, დისციპლინის დაცვაზე და თამაშის შედეგებზე მწვრთნელიც არის პასუხისმგებელი. უფრო მეტიც, გუნდის წლის საბოლოო შედეგი კატასტროფულია, რაშიც გარკვეული წილი მწვრთნელებსაც მიუძღვით, აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია აღნიშნული დანამატის გაცემა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი ისევ დარჩება ასახული ანგარიშში.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. შრომითი ურთიერთობის მხრივ, ზუსტად უნდა შედგეს ყველა დოკუმენტი. ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ბრძანებებში უნდა მიეთითოს ხელფასის ოდენობა.
2. წახალისების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს დასაბუთებულად.
3. მიელინებიდან თანამშრომლის დაბრუნების შესახებ ბრძანება უნდა გამოსცეს კლუბის ხელმძღვანელმა და გატარდეს შესაბამის ბრძანების წიგნში.
4. უნდა გამოსწორდეს საქმისწარმოება და საბუღალტრო ანგარიშსწორებაში არსებული ხარვეზები.
5. შესყიდვების კუთხით საქმიანობა უნდა იყოს სრულყოფილი და კანონის მოთხოვნათა შესაბამისი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ანგარიშგება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილ ვადებში.

6. განხორციელებული შესყიდვებისას, მიღებული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ, აღნიშნული აქტში მითითებული ღირებულების შესაბამისად.
7. რადგან 2018 წლის 24 იანვარს შეიცვალა კლუბის ხელმძღვანელი, უნდა ჩატარდეს კლუბის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია და გადაბარება ძველი დირექტორიდან ახალზე.

➢ **შიდა აუდიტის ობიექტი №3: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური**

2018 წლის 15 თებერვლიდან - 16 აპრილის ჩათვლით პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს. შემოწმება მოიცავდა 2015 წლის 1 ივლისიდან - 2018 წლის 01 იანვრამდე პერიოდს.

სამსახური ფუნქციონირებს დებულების შესაბამისად. სამსახურის უფროსი ყოველწლიურად ადგენს წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება სამსახურის მიერ დებულების შესაბამისად გაწეული მუშაობა. შედგენილია 2015, 2016 და 2017 წლების ანგარიში.

**ობიექტის ფუნქციონირებაში არსებული ხარვეზებიდან საგულისხმოა შემდეგი:**

სამსახურს არ აქვს სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურთან მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების მდგომარეობის შესახებ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში განლაგებული ინვენტარის დიდი ნაწილი არავისთვის არაა მიბარებული. მაგალითად, 2015 წელს სოფ. ღვერკში მდებარე წისქვილისთვის შეძენილია წისქვილის ქვა (ღირ. 900 ლარი), სოფელ ლედუბანში არსებული წისქვილისთვის 900 ლარად ღირებული მიქსერი, სოფელ დორეშაში მაცივარი (ღირ. 1000 ლარი), ზაზალეთში წისქვილის ქვა (ღირ. 500 ლარი), ელექტროწისქვილი სოფ. ხარგვეშისთვის (ღირ. 1400 ლარი), სოფ. წყალაფორეთში წისქვილის ქვა (ღირ. 700 ლარი), არცერთ მოცემულ შემთხვევაში არაა შედგენილი აღნიშნული ნივთების პასუხისმგებელი პირისთვის მიბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2016 წლის იანვრის თვეში შესყიდულია შპს „ალტასეგან" 6 ც. ლეპტოპი ღირებულებით 4454 ლარი, მათგან 2 ცალი გაურკვეველია ვის გადაეცა (არ დევს შესაბამისი დოკუმენტი მასალებში) და ასევე, გაურკვეველია ფაქტობრივად სად არის აღნიშნული ნივთები. ამავე წელს, შეძენილია ავეჯი ბორის დღის ცენტრისთვის (ღირ. 6560 ლარი), სოფლის პროგრამით შეძენილია ჭურჭელი

ადმინისტრაციული ერთეულებისთვის: ზვარე, ვახანი, ზორითი, მოლითი. წიფაში შეძენილია ხელის ტრაქტორი, ზორითში - პროექტორი, ფარცხნალში წისქვილის მიქსერი, ზვარეში, მოლითში, ხევში ავეჯი (ღირ. 7139 ლარი), ჭურჭელი ხიდრის სარიტუალო დარბაზისთვის (ღირ. 3579 ლარი). 2017 წელს მერიისთვის შეძენილია კოდირების აპარატურა (დოზიმასი), წყლის ტუმბო (ღირ. 4200 ლარი), ზორის დღის ცენტრისთვის შეძენილია საოჯახო ინვენტარი (ღირ. 2410 ლარი). არც ამ ჩამოთვლილ შემთხვევებშია მიბარებული პერსონალიზებული ინვენტარი პასუხისმგებელი პირისთვის. აღნიშნულმა გარემოებამ მოსალოდნელია გამოიწვიოს ქონების განადგურება, დაზიანება ან მითვისება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ფინანსური რისკი.

შესამოწმებელ პერიოდში გახარჯული წარმომადგენლობითი ხარჯები ზოგ შემთხვევაში საკმარისად არაა დასაბუთებული. კერძოდ, შესაბამის დოკუმენტებში არაა მითითებული რა ღონისძიებისთვის გაიხარჯა თანხა და ამასთანავე, არ არის მითითებული ღონისძიებაში მონაწილე პირთა ვინაობა.

თანამშრომლებისთვის შეძენილი ტექნიკა, მაგალითად, მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, მათი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, არ ჩანს არის თუ არა დაბრუნებული, რადგან არაა შესაბამისი დოკუმენტი შედგენილი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ მოთხოვნები ბიუჯეტის დაგეგმვისას ხშირ შემთხვევაში არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ა(ა)იპ-ები ვერ ეტევიან მათთვის გამოყოფილ საბიუჯეტო თანხებში და დამატებით ითხოვენ სხვადასხვა ღონისძიებებისათვის დაფინანსებას ასევე სათანადო დასაბუთების გარეშე. სწორედ ამის გამო, ხშირია ცვლილებები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რაც მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის დროს (სუბსიდიების მუხლი) დაშვებულ ხარვეზებზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს დაევალოთ საბიუჯეტო მოთხოვნების სათანადოდ დასაბუთება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები ატვირთულია კანონით დადგენილ ვადებში, მაგრამ ზოგიერთი დოკუმენტი არაა ვადის დაცვით ატვირთული ან საერთოდ არაა ატვირთული, კერძოდ, შეთანხმება ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ექსპერტიზის დასკვნა.

ზოგიერთ შემთხვევაში, ეტაპობრივად შესასრულებელი ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შეთანხმებები ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ და შესაბამისი მიმოწერა მიმწოდებელთან არაა ატვირთული შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. უმეტესწილად თვითონ ობიექტში დაცულ მასალებშიც არ დევს აღნიშნული მიმოწერის დამადასტურებელი საბუთები. ამასთან, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ აუცილებლობა შეთანხმების უმეტესობაში არაა საკმარისად დასაბუთებული.

შესრულებული სამუშაოს აქტს და ფორმა №2-ს ზოგიერთ შემთხვევაში არ აქვს დასმული თარიღი, რაც ხარვეზია, რადგან ამის გარეშე შესაძლოა გაძნელდეს სამუშაოს შესრულების დროის დადგენა.

შპს„მიმდემი"-თან დადებული №84 ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ მიმწოდებელს შემოტანილი აქვს მერიაში მიმართვა, რომელიც რეესტრში გატარებულია 25.05.2017 წ. თარიღით, ხოლო მიმართვას არ აქვს თარიღი, იგივე მეწარმე სუბიექტს 26 ივლისს ისევ უთარიღო მიმართვა აქვს შემოტანილი და გატარებულია რეესტრში, რაც არ უნდა განხორციელებულიყო. თვითონ ხელშეკრულებაში არის დაშვებული ტექნიკური უზუსტობა, ხელშეკრულების გარანტიის ვადად მითითებულია 24.05.2017 წ. - 08.01.2017 წ. პერიოდი. აღნიშნულ მეწარმე სუბიექტთან 2017 წელს რამდენიმე ხელშეკრულებაა დადებული და მის მიერ წარმოდგენილ მიმართვებს თარიღები არ აქვს, რის გამოც გაძნელებულია სამუშაოს შესრულების დროის გარკვევა.

რამდენიმე შემთხვევაში არც შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაშია ატვირთული და არც ობიექტში დაცულ დოკუმენტებში მოიძებნა ექსპერტიზის დასკვნები, რისი წარმოდგენაც მეწარმე სუბიექტს ევალებოდა შესყიდვის ხელშეკრულებით, მაგალითისთვის შპს „ბორჯთან" დადებული №110 და ამხანაგობა „ელიტ და კომპანიასთან" დადებული №104 ხელშეკრულებები. არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ შესრულებული სამუშაოს ჩაბარებისას წარმოდგენილი იყოს აუდიტორული დასკვნა ხარისხზე, მოცულობასა და ღირებულებაზე. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნაში კი მხოლოდ მოცულობა და ღირებულებაა ასახული. მაგალითად, შპს „ნიუ-ბილდერთან" 04.04.2016 წ. დადებული №69 ხელშეკრულება წიფის, მოლითისა და ლორეშის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (შესრულებულია 125295 ლარის სამუშაო).

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ზოგიერთი ხელშეკრულების შესრულების ვადები დარღვეულია და დასარიცხია საურავი. კერძოდ, 2015 წლის ხელშეკრულებებიდან: შპს „პროექტმშენ+" - №131 ხელშეკრულება, სს „ავტოტრანსი" - №151 ხელშეკრულება, შპს „პოლიმერკონტეინერი" - №166 ხელშეკრულება, ი/მ მალხაზ ყრუაშვილი - №212 ხელშეკრულება, შპს „ნიუ ვეივი" - №87 ხელშეკრულება; 2016 წელს დადებული ხელშეკრულებებიდან: შპს „დალა 73" - №78 ხელშეკრულება, შპს „საპოჟნელა" №72 ხელშეკრულება, ი/მ ვანო ხაჩიძესთან დადებული ხელშეკრულება, შპს „ბორჯი" - №145 ხელშეკრულება, ი/მ ზვიად გოგოლაძესთან დადებული №194 ხელშეკრულება, შპს „თორნიკესთან" დადებული №196 ხელშეკრულება, ამ უკანასკნელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შედგენილ დოკუმენტებში არის უზუსტობები, კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტს არ აქვს თარიღი, ხოლო მიმწოდებლის განცხადება სამუშაოების დამთავრებაზე შედგენილია 6 დეკემბრის თარიღით, ხოლო კონტროლის ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნა თარიღდება 11 ნოემბრით, ესიგი, დასკვნა წინ უსწრებს სამუშაოების დამთავრებას თარიღს. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულების შესრულების ბოლოდ ვადად განსაზღვრულია 1 ნოემბერი. ასევე, ვადაა დარღვეული შპს „მაქსიმთან" დადებულ №151

ხელშეკრულებაზე და შპს „ბორჯთან" დადებულ №165 ხელშეკრულებებზე. ამ უკანასკნელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შედგენილ დოკუმენტებშიც ხარვეზებია, კერძოდ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ განცხადებას, რომელიც გატარებულია მერიის რეესტრში, არ აქვს დასმული თარიღი, არც საქმეში არსებულ ფორმა №2-ს აქვს თარიღი მითითებული, ფარული სამუშაოების აქტი დათარიღებულია 9 ნოემბრით, საგადასახადო ანგარიშფაქტურა - 17 ნოემბრით, აღნიშნული გარემოებების გამო, გაურკვეველია როდის დამთავრდა სამუშაო.

სამუშაოების შესრულების ვადები დარღვეულია 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია შპს „ტუკასთან", ხელშეკრულების №102.

შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში ჩაწერილია დებულება, რომლის მიხედვითაც სამუშაოს დასრულების ვადად ითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს შესრულების დადასტურების დღე. აღნიშნული დათქმით თუ ვიხელმძღვანელებთ, მაშინ თითქმის ყოველ მეორე ხელშეკრულებაზე სამუშაოების შესრულების ვადები დარღვეულია. აქედან გამომდინარე, შემოწმების ჩამტარებელი შიდა აუდიტორები ვთვლით, რომ ვადის გაანგარიშება უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლის თანახმად და ნაცვლად, ზემოთხსენებული პირობისა, ვადის ათვლა უნდა მოხდეს მიმწოდებლის მიერ სამუშაოების დამთავრების შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან.

შპს „დალა 73"-თან 15.04.2016 წ. გაფორმებულია ხელშეკრულება №78 მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში საყრდენი კედლების სარეაბილიტაციოდ. კონტროლის ჯგუფის მიერ 18.11.2016 წ. წარმოდგენილია შუალედური დასკვნა 5346.59 ლარის შესრულებულ სამუშაოზე და ამასთან ერთად, დასკვნაში აღნიშნულია, რომ მასზე დაკისრებულია პირგასამტეხლო 9 975 ლარის ოდენობით და აღნიშნული პირგასამტეხლოდან ამ ეტაპისთვის შპს-ს დაუკავდეს მხოლოდ 1000 ლარი. დასკვნის შესაბამისად ჯარიმის სახით დაკავდა მხოლოდ 1000 ლარი და დანარჩენი თანხა აუნაზღაურდა მიმწოდებელს. აღსანიშნავია, რომ ინსპექტირების ჯგუფი არაა უფლებამოსილი განსაზღვროს დაკისრებული პირგასამტეხლოს ეტაპობრივად გადახდის საკითხი, მითუმეტეს საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული საკითხი წყდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებით, ამ შემთხვევაში არ ყოფილა გამგებელთან შესაბამისი შეთანხმება. ამ ანგარიშსწორებით რისკის ქვეშ დადგა ჯარიმის ამოღების საკითხი, მართლაც 03.02.17 წ. №104-49 წერილით საფინანსო სამსახურის უფროსი მიმართავს გამგებელს იურიდიული განყოფილების შემდგომი რეაგირებისათვის, მაშინ როდესაც მას შეეძლო კონტროლის ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნაში მითითებული საკითხი, რომ პირგასამტეხლოს მხოლოდ მცირე ნაწილი დაკავდებოდა მეწარმე სუბიექტს და დანარჩენი თანხა ანაზღაურებოდა მას, დაეყენებინა ეჭვქვეშ და არ გაეშვა 4346.59 ლარის ჯარიმის ამოღების შესაძლებლობა (შპს „დალა 73"-ის საკითხი დღემდე სასამართლოში დავის საგანია).

23.03.2016 წ. გაფორმებული №62 ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „პარმალი" ასრულებს დაბა ხარაგაულის №2 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებს. ხელშეკრულების თანახმად, დაკავებულ იქნა საგარანტიო თანხა ხელშეკრულების ღირებულების 2.5%-ის ოდენობით, 2498.20 ლარი 2 წლის ვადით. წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე შპს „პარმალი" ითხოვს აღნიშნული თანხის ვადაზე ადრე დაბრუნებას და გამგებელთან წერილობითი შეთანხმების გარეშე 29.11.2016 წ. თანხა ირიცხება მის ანგარიშზე.

ი.მ. ინგა ფანჩულიძემ №163 ხელშეკრულების შესაბამისად, განახორციელა სათნოების სახლის რეაბილიტაციის სამუშაო (ღირ. 14917 ლარი). ხელშეკრულება არ ითვალისწინებს საგარანტიო თანხის დაკავებას, მაშინ როდესაც საგარანტიო ვადა (2 წელი) განსაზღვრულია.

15.07.2015 წ. შპს „ჰესპია-მურთან" გაფორმდა ხელშეკრულება №201 ღია ესტრადისა და მიმდებარე პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების შესასრულებლად (სახელშეკრულებო თანხა 449999 ლარი). ხელშეკრულების დადების შემდეგ გაფორმდა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს წინასწარ ანგარიშსწორებას საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მაშინ როდესაც ეს პირობა სატენდერო წინადადებაში არ არის ასახული, რამაც ხელი შეუშალა სხვა მეწარმე სუბიექტებს თანაბარი კონკურენციის პირობებით სარგებლობაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ობიექტი რეაბილიტაციის შემდგომ, საგარანტიო ვადის გასვლამდე გამოვიდა მწყობრიდან და დღეის მდგომარეობით ამორტიზებულია, რაც ეჭვქვეშ აყენებს სამუშაოების შესრულების ხარისხს.

რიგ შემთხვევებში, სათანადო ყურადღება არ ექცევა დოკუმენტების სწორად შედგენას და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვას მაგალითად:

- ხელშეკრულება №87 შპს „ნიუ ვეივი" ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ხელშეკრულება გაფორმებულია 13.05.2015 წ. მიღება-ჩაბარების აქტი №87\5 კი დათარიღებულია 4.01.2015 წ. (ნაცვლად 4.01.2016 წ.).
- ხელშეკრულება №130 შპს „პროექტმშენი" ხელშეკრულება შედგენილია 18.06.2015 წ. ხოლო შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი №130 დათარიღებულია 01.07.2014 წ. (ნაცვლად 01.07.2015 წ.).
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფ. ზვარეს ცენტრალური გზიდან ახალგაზრდული ბანაკის მოწყობის ადგილამდე მისასვლელი გზების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის გამოცხადებულ ტენდერზე დამატებითი ინფორმაციაში არასწორადაა შეტანილი მე-9-ე მუხლი, მექანიკურად არის გადმოტანილი სხვა სატენდერო დამატებითი ინფორმაციიდან.

2017 წელს შეძენილია 16676.40 ლარის საწვავი გზების მოვლა-შენახვისათვის, საიდანაც ნაშთი კვლავ ერიცხებათ 50 ლიტრი ხიდრის წარმომადგენელს და 60 ლიტრი ლაშის წარმომადგენელს.

მერიის მიერ საწვავის ხარჯვა არაა საკმარისად დასაბუთებული. საწვავი ჩამოწერილია დასაბუთების გარეშე. სასურველია შედგეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც აისახება თუ როდის, რა ოდენობის საწვავი იქნა გახარჯული და რა მიზნით.

შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსავალი და ხარჯები ნაწარმოებია ხაზინის მეშვეობით.

- 2015 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ ვებ-გვერდზე ატვირთული შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 4867849 ლარის შესყიდვა, ხელშეკრულება დაიდო 4072016.4 ლარის შესყიდვაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 3617545.4 ლარის ღირებულების სამუშაო.
- 2016 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ ვებ-გვერდზე ატვირთული შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 4445510 ლარის შესყიდვა, ხელშეკრულება დაიდო 3621048.6 ლარის შესყიდვაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 3158061.2 ლარის ღირებულების სამუშაო.
- 2017 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ ვებ-გვერდზე ატვირთული შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 8840680 ლარის შესყიდვა, ხელშეკრულება დაიდო 8669161.8 ლარის შესყიდვაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 5544804.9 ლარის ღირებულების სამუშაო.

## გადასახდელები 2015 წელი




1. შრომის ანაზღაურება - 1495.2 ათ. ლ;
2. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება - 112.9 ათ. ლ;
3. სამივლინებო ხარჯები - 12.8 ათ. ლ;
4. საოფისე ხარჯები - 137.4 ათ. ლ;
5. წარმომადგენლობითი ხარჯი - 17.8 ათ. ლ;
6. სატრ. საშ. მოვლა-შენახვა - 119.9 ათ. ლ;
7. სხვა დან. საქონელი და მომსახურება - 305.8 ათ. ლ;
8. სუბსიდიები - 3619.8 ათ. ლ;
9. სოციალური უზრუნველყოფა - 542.6 ათ. ლ;
10. სხვა ხარჯები - 15.7 ათ. ლ.

# გადასახდელები 2016 წელი




1. შრომის ანაზღაურება - 1545.7 ათ. ლ;
2. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება - 136.8 ათ. ლ;
3. სამივლინებო ხარჯები - 11.5 ათ. ლ;
4. საოფისე ხარჯები - 146.7 ათ. ლ;
5. წარმომადგენლობითი ხარჯი - 14.2 ათ. ლ;
6. სატრ. საშ. მოვლა-შენახვა - 107.1 ათ. ლ;
7. სხვა დან. საქონელი და მომსახურება - 168.1 ათ. ლ;
8. სუბსიდიები - 3572.9 ათ. ლ;
9. სოციალური უზრუნველყოფა - 510.3 ათ. ლ;
10. სხვა ხარჯები - 18.8 ათ. ლ.

## გადასახდელები 2017 წელი




1. შრომის ანაზღაურება - 1242.5 ათ. ლ;
2. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება - 344.2 ათ. ლ;
3. სამივლინებო ხარჯები - 10.0 ათ. ლ;
4. საოფისე ხარჯები - 139.5 ათ. ლ;
5. წარმომადგენლობითი ხარჯი - 13.4 ათ. ლ;
6. სატრ. საშ. მოვლა-შენახვა - 119.3 ათ. ლ;
7. სხვა დან. საქონელი და მომსახურება - 152.6 ათ. ლ;
8. სუბსიდიები - 3269.3 ათ. ლ;
9. სოციალური უზრუნველყოფა - 484.0 ათ. ლ;
10. სხვა ხარჯები - 26.0 ათ. ლ.

*მონაცემები მოცემულია წლების ბოლოს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 16 აპრილის მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურის შედარების აქტის მიხედვით, ერიცხება ზედმეტობა 80922 ლარი.

მერიაში ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით. შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ძირითადი რისკები

ობიექტის ფუნქციონირების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შესაბამისობისა და ფინანსური რისკები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სამართლებრივი ნორმების დარღვევა ან/და მუნიციპალიტეტისთვის ფინანსური ზიანის მიყენება.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. მერიამ რიცხულ ზედმეტობაზე (80922 ლარზე) უნდა მოახდინოს შედარების აქტის გაფორმება საგადასახადო ინსპექციასთან, შემდგომში აღნიშნული თანხის საბიუჯეტო სახსრებიდან დაზოგვის მიზნით.
2. ა(ა)იპ-ებისათვის განკუთვნილი სუბსიდიების წლის ბიუჯეტში გათვალისწინება და შემდგომ გაცემა უნდა მოხდეს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.
3. მივლინებას თან უნდა დაერთოს მგზავრობის ღირებულების დამადასტურებელი საბუთი საქართველოს მთავრობის 25.04.2017 წ. №211 დადგენილების „საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" შესაბამისად.
4. მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი ინვენტარის გადაბარება უნდა მოხდეს შესაბამისი აქტების საფუძველზე პასუხისმგებელ პირებზე. ასევე, უნდა შედგეს დოკუმენტი სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლის მიერ მისთვის მიბარებული სამსახურებრივი ინვენტარის (მობილური ტელეფონები, ლეპტოპები და ა.შ.) დაბრუნების შესახებ.
5. არ უნდა მოხდეს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული საგარანტიო თანხის ვადაზე ადრე დაბრუნება.

6. საურავის დარიცხვის შემთხვევაში, მიმწოდებლისთვის შესრულებული სამუშაოებისთვის კუთვნილი თანხის ანაზღაურება არ უნდა მოხდეს საურავის გაქვითვის გარეშე.
7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სრულად უნდა იქნეს დაცული, სრულყოფილად აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტი, დოკუმენტების შედგენისას ყურადღება მიექცეს მათ სწორად შედგენას.
8. სტიქიის შედეგებისათვის აღარ უნდა მოხდეს უშუალოდ საწვავის შესყიდვა, უმჯობესია შესყიდული იქნეს შესაბამისი სამუშაოები, რითაც გამოირიცხება საწვავის დაუსაბუთებელი ხარჯვა ამ მიმართულებით.
9. მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი საწვავის ხარჯვა უნდა დასაბუთდეს შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენით, რომელშიც მითითებული იქნება გახარჯული საწვავის ოდენობა, მიზნობრიობა და დრო.
10. ამოღებული იქნას ხელშეკრულებების ვადის გადაცილების გამო დარიცხული საურავების თანხა.

- **შიდა აუდიტის ობიექტი №4: ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა"**

2018 წლის 19 აპრილიდან - 25 მაისის ჩათვლით პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას", შემოწმება მოიცავდა 2015 წლის 01 იანვრიდან - 2018 წლის 25 მაისამდე პერიოდს.

წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ობიექტს 2015 წელს ჩაუტარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ და შემოწმდა სამუსიკო სკოლის 2013-2014 წლების საქმიანობა.

სამუსიკო სკოლას ადმინისტრაციული შენობა 2013 წლის 23 მაისს აქვს გადაცემული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, სკოლის არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაგან. შენობის ფართი მიწის ნაკვეთიანად შეადგენს 225,69 მ$^2$-ს. შენობის ქვედა სართულის 3 ერთეული ფართი ადმინისტრაციას, შესამოწმებელ პერიოდში, გაცემული აქვს მეწარმე სუბიექტებზე. ორი ქირავნობის ხელშეკრულებით, ხოლო ერთი უსასყიდლოდ, თხოვებით, რომელზეც ხელშკრულება არაა შედგენილი. ერთ-ერთ ფართზე ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია 2016 წლის 1 თებერვალს 1 წლის ვადით, ხოლო ქირა გადახდილია მხოლოდ ერთი თვის. აღნიშნული ფართი თითქმის 6 თვის მანძილზე იყო დაკავებული მოქირავნის მიერ, რომელიც იყენებდა 2 ერთეულ დახლ-მაცივარს. აღნიშნული

დადგენილია კონფიდენციალური ინფორმაციით. მოქირავნე იყენებდა სკოლის ელექტროენერგიასაც, რაც დასტურდება იმითაც, რომ აღნიშნული ფართისთვის ცალკე ელექტრომრიცხველი დამონტაჟებული არაა. გახარჯული ელექტროენერგიის თანხასაც სამუსიკო სკოლა იხდიდა. ეჭვს ის გარემოებაც ამყარებს, რომ 2016 წლის განმავლობაში სკოლას გადახდილი აქვს საგრძნობლად მეტი თანხა ვიდრე მოიხმარა 2015 და 2017 წლებში, კერძოდ, 2015 წელს მოხმარებულია 144 ლარის ღირებულების ელექტროენერგია, 2016 წელს 734 ლარის ღირებულების, ხოლო 2017 წელს 100 ლარის ღირებულების. შენობის 2 ერთეული ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე არაა თანხმობა მუნიციპალიტეტისგან (მესაკუთრე), რისი არსებობაც აუცილებელია უზუფრუქტის ხელშეკრულების მიხედვით, თანხმობა გაცემულია მხოლოდ ერთი ფართის გადაცემაზე,კერძოდ,ი/მ „გურამი მაისურაძეზე". საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ქონების გაქირავება უნდა მოხდეს აუქციონის წესით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" მე-$11^1$ მუხლით დადგენილი წესით. აღნიშნული მოთხოვნის უგულვებელყოფა იწვევს კანონთან შეუსაბამობას. ობიექტის ასეთი ქმედებით მუნიციპალიტეტმა დაკარგა შესაძლო შემოსავალი. ქირავნობის საკითხის ასეთი მოუწესრიგებლობა იწვევს ფინანსურ და შესაბამისობის რისკებს.

სამუსიკო სკოლაში 2015-2016 წლებში ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული, ხოლო 2017 წელს განხორციელებულია.

ნაწარმოებია საკანცელარიო დოკუმენტაცია: საერთო ხასიათის ბრძანებებისა და მივლინების, შვებულების, დროებით შრომისუუნარობის, წახალისება ან სასჯელის წიგნები. 2015-2017 წლებში ხელმძღვანელის მიერ არაა შედგენილი აქტები მოსწავლეთა სკოლაში მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანისა,სკოლიდან გასვლისა და სკოლის დამთავრების შესახებ.

ორგანიზაციის მიერ, შესყიდულია სატელეფონო კორპორაციული მომსახურება, მაგრამ არაა შედგენილი შესაბამისი აქტები აღნიშნულ ქსელში თანამშრომელთა ჩართვის შესახებ. 2016 წლის საერთო ხასიათის ბრძანებების წიგნი შევსებული არაა, რადგან არ მომხდარა საკადრო მოძრაობა. 2017 წლის მივლინების, შვებულების, დროებითი შრომისუუნარობის, წახალისება ან სასჯელის წიგნში არაა დირექტორის მიერ შედგენილი აქტი მასწავლებლების, დარეჯან გვაძაბიასა და დალი მერაბიშვილის 29 მარტის მივლინებიდან დაბრუნების შესახებ. 2015 წლის სექტემბრის თვეში სკოლის დირექტორი ლალი ალექსიძე იმყოფებოდა ათდღიან მივლინებაში თურქეთის რესპუბლიკაში, მაგრამ მივლინების დოკუმენტი დამოწმებულია კულტურის სამინისტროში და ანაზღაურებული აქვს სამივლინებო ხარჯი 150 ლარის ოდენობით, ასევე მივლინების დოკუმენტში ჩასწორებულია ჩასვლის, წამოსვლისა და დაბრუნების თარიღები, არ შეესაბამება ბრძანებაში მითითებულ თარიღებს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მივლინების თანხა არასწორადაა გაცემული.

სამუსიკო სკოლას ბალანსზე ერიცხება 12 პიანინო და 3 როიალი. 1 პიანინო თხოვების წესით გადაცემული აქვს ა(ა)იპ „ხარაგაულის კულტურის სახლს", თუმცა, თხოვების

ხელშეკრულება დადებული არაა. 1 პიანინო, ასევე თხოვების ხელშეკრულებით, გადაცემული აქვს მუსიკალური სკოლის მოსწავლეს სალომე კვირიკაშვილს.

შესამოწმებელ პერიოდში სამუსიკო სკოლას შესყიდული აქვს სატრანსპორტო მომსახურებები, მაგრამ ზოგიერთ ხელშეკრულებაში არაა მითითებული, თუ რა ღონისძიებისთვის გახდა საჭირო ტრანსპორტირება. 2015 წელს შესყიდულია 2 ერთეული გაზის გამათბობელი, საერთო ღირებულებით 820 ლარი, თუმცა, სკოლაში გაზი დღემდე არაა შეყვანილი, გაუგებარია რატომ მოხდა წინასწარ ასეთი ხარჯის გაწევა. შესამოწმებელ პერიოდში შესყიდული არცერთი სარესტორნო მომსახურება არაა შესაბამისად დასაბუთებული, კერძოდ, მათში მითითებული არაა მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა და ვინაობა.

მოსწავლეთა მიერ სწავლის ქირის გადახდა ხდება ადგილზე (სკოლაში), რომელიც ორგანიზაციის თანამშრომელს შეაქვს ბანკში, რაც არასწორი და სარისკო პრაქტიკაა და უნდა გამოსწორდეს.

2015 წელს სამუსიკო სკოლაში ჩატარებულია თ. ლურსმანაშვილის კონცერტი და თანხაცაა ამისთვის გაცემული (1250 ლარი ხელშეკრულება №10 15.05.2015 წ.). აღნიშნული ღონისძიება სკოლის სამუშაო გეგმით არაა გათვალისწინებული და არც მისი აუცილებლობაა დასაბუთებული რაიმე დოკუმენტით.

შესამოწმებელ პერიოდში დირექტორის მიერ არ იყო შედგენილი შრომის შინაგანაწესი, მაგრამ შიდა აუდიტორული შემოწმების პერიოდში ის შემუშავებულ იქნა. ასევე, 2015-2017 წლებში ორგანიზაციის საქმიანობა ნაწილობრივ არ შეესაბამებოდა არსებულ წესდებას, დღეის მდგომარეობით (20.05.2018 წ.) ახალი წესდება მომზადების პროცესშია და დარეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

**სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.**

ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2015 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 12875 ლარის შესყიდვა, 2016 წლის შესყიდვების გეგმით – 12420 ლარის, ხოლო 2017 წლის შესყიდვების გეგმით - 7160 ლარის შესყიდვა. შესყიდვები ძირითადად განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

- 2015 წლის 18 აპრილის №7 ხელშეკრულება ატვირთულია ლალი ალექსიძის ხელმოწერისა და ორგანიზაციის ბეჭდის გარეშე.
- 2015 წლის 15 ივლისს დადებულია №13 ხელშეკრულება (ღირ. 2500 ლარი) ა(ა)იპ-თან ხელოვანთა კავშირი „ხელოვანები მომავლისათვის", რომელიც ითვალისწინებდა თურქეთის ქ. მარმარისში ფესტივალში მონაწილეობას, არსებული დოკუმენტებით ვერ იქნა მოპოვებული ინფორმაცია, თუ რამდენი

მოსწავლე წაიყვანეს ფესტივალზე, რა მომსახურება მიიღეს ან/და რა შედიოდა მომსახურებაში.

- 2015-2017 წლებში ფ/პ მურმანი კუპრაძესთან დადებულია ხელშეკრულებები ტრანსპორტით მომსახურებასთან დაკავშირებით (2015 წ. - №19, №11, №14; 2016 წ. - №9; 2017 წ. - №7). მოძიებული დოკუმენტებით ვერ დგინდება რა მარშრუტით გადაადგილდნენ, რამდენი სვლა-გეზი განახორციელეს და სად.
- 2015 წლის 21 აგვისტოს ხელშეკრულება №15, ფ/პ ამირან შუბითიძესთან, მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით სამუშაოები შესრულებულია, მაგრამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული აქვს სტატუსი - შეუსრულებელი.
- 2015 წლის 11 დეკემბრის №21 ხელშეკრულება შპს „მომავლის ვარსკვლავებთან" (ღირ. 750 ლარი), რომელიც ითვალისწინებდა ქ. ბაქოში მოსწავლეების გადაადგილებას, ასევე გაურკვეველია რამდენი მოსწავლე გადაადგილდა და რა მომსახურება მიიღო.
- 2016 წლის 14 აპრილს ატვირთულია ხელშეკრულება დადებული ფ/პ მურმანი კუპრაძესთან, რომელსაც პირველი ფურცელი აკლია. ასევე, 25 აპრილს ატვირთულია იგივე პიროვნებასთან დადებული ხელშეკრულების მხოლოდ ბოლო ფურცელი და მიღება-ჩაბარება ხელმოწერების გარეშე.
- 2016 წლის 5 ივლისს დადებული №14 ხელშეკრულება შპს „ბიბისთან" (ღირ. 2600 ლარი), ხელშეკრულების საგანია სარესტორნო მომსახურება, მაგრამ დოკუმენტებით შეუძლებელია დადგენა, თუ ვინ ან/და რამდენმა პირმა მიიღო აღნიშნული მომსახურება, ან რა ღონისძიებისთვის იქნა გაწეული ეს ხარჯი.
- 2016 წლის 5 ივლისის №12 ხელშეკრულება, დადებული ი/მ მამუკა მაღლაფერიძესთან, ხელშეკრულების საგანი - სატრანსპორტო მომსახურება (ღირ. 300 ლარი), არსებული დოკუმენტებით ვერ დგინდება სვლა-გეზების რაოდენობა და მარშრუტი.

შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

2015 წელს ა(ა)იპ „ხარაგაულის მთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაუმტკიცა საშტატო განრიგი 18 საშტატო ერთეულით, ხელფასის წლიური ფონდით - 87960 ლარი.

სამუსიკო სკოლის 2015 წლის მთლიანი ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 124846 ლარს. მათ შორის, შრომის ანაზღაურება 89649 ლარი (71.81%), საქონელი და მომსახურება 11084 ლარი (8.87%), ოფისის ხარჯები 5128 ლარი (2.06%), კომუნალური ხარჯები 1081 ლარი (0.86%), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 4390 ლარი (3,52%), მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა 21545 ლარი (17.26%).

2015 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას" მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 99796 ლარი სუბსიდიის სახით. 2015 წლის დასაწყისში საბანკო ანგარიშზე ერიცხებოდა ნაშთი 23506 ლარის ოდენობით. გამგებლის მიერ დამტკიცებული გეგმით განსაზღვრული 100000 ლარის ხარჯის ნაცვლად გაწეულია 124846 ლარის ხარჯი. გადახარჯვა შეადგენს 24846 ლარს, აქედან 21545 ლარით შეძენილია როიალი, რომლის შეძენაც განსაზღვრული იყო წინა წლის გეგმით და მის შესაბამისად გამოყოფილი თანხა ერიცხებოდა ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე. 66 ლარის გადახარჯვაა მივლინების ხარჯში, 2578 ლარის გადახარჯვაა ოფისის ხარჯებში, მ.შ. 300 ლარი ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო ხარჯი, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი 2300 ლარი. გადახარჯვაა შრომის ანაზღაურებაზეც 137 ლარი, გამგებლის მიერ დამტკიცებულ საშტატო განრიგთან მიმართებაში. გადახარჯვა დაბალანსებულია საკუთარი შემოსავლებისა და ანგარიშზე რიცხული ნაშთის ხარჯზე.

2016 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ სამუსიკო სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი 18 საშტატო ერთეულით, ხელფასის წლიური ფონდით - 87960 ლარი.

სკოლის მთლიანი ფაქტობრივი ხარჯი 2016 წელს შეადგენს 102496 ლარს. მათ შორის, შრომის ანაზღაურება 88705 ლარი (86.54%), მივლინება 182 ლარი (0.18%), საკანცელარიო და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა 30 ლარი (0.03%), კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯი 250 ლარი (0.24%), საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი 170 ლარი (0.17%), შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი 600 ლარი (0.58%), კავშირგაბმულობის ხარჯი 152 ლარი (0.15%), ელექტროენერგიის ხარჯი 734 ლარი (0.72%), წყლის ხარჯი 103 ლარი (0.10%), გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი 800 ლარი (0.78%), შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების ხარჯი 90 ლარი (0.09%), წარმომადგენლობითი ხარჯი 2600 ლარი (2.54%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი 2625 ლარი (2.56%), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 3036 ლარი (2.96%), სოციალური დახმარება 419 ლარი (0.41%), არაფინანსური აქტივების ზრდა 2000 ლარი (1.95%).

2016 წელს სუბსიდიის სახით მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 96442 ლარი, საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 5039 ლარი და წლის დასაწყისისთვის ანგარიშზე ერიცხებოდა ნაშთი 1769 ლარის ოდენობით. გეგმით გათვალისწინებული იყო 94500 ლარის ხარჯი, ფაქტობრივმა ხარჯმა კი შეადგინა 100496 ლარი. გადახარჯულია 5996 ლარი. გადახარჯვაა შემდეგ მუხლებში: თანამდებობრივი სარგო გაცემულია 399 ლარით მეტი და დანამატი 765 ლარი, რომელიც გეგმით გათვალისწინებული საერთოდ არ იყო. გადახარჯვაა შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯში 100 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებში 112 ლარი, ელექტრო ენერგიის ხარჯში 634 ლარი, გაწეულია 2600 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც საფინანსო გეგმით არ იყო

განსაზღვრული, 1325 ლარის გადახარჯვაა ტრანსპორტის დაქირავების ხარჯში. გადახარჯვები დაბალანსებულია საკუთარი შემოსავლებისა და წლის დასაწყისში არსებული ნაშთის ხარჯზე.

2017 წელს მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებულია საშტატო განრიგი 18 საშტატო ერთეულით, წლიური სახელფასო ფონდით - 96912 ლარი.

2017 წელს სკოლის მიერ გაწეული ხარჯი შეადგენს 104161 ლარს. მათ შორის, შრომის ანაზღაურება 96905 ლარი (93.03%), მივლინება 45 ლარი (0.04%), საკანცელარიო და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა 67 ლარი (0.06%), კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯი 120 ლარი (0,12%), ნორმატიული აქტების საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო სასტამბო ხარჯები 300 ლარი (0.29%), საოფისე ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟების ხარჯი 300 ლარი (0.29%), შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტისათვის გახარჯულია 67 ლარი (0.06%), კავშირგაბმულობის ხარჯი 152 ლარი (0.15%), ელექტროენერგიის ხარჯი 100 ლარი (0.10%), წყლის ხარჯი 104 ლარი (0.10%), გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი 1300 ლარი (1.25%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი 500 ლარი (0.48%), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი 4201 ლარი (4.03%).

2017 წელს სამუსიკო სკოლას მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული აქვს 98993 ლარის სუბსიდია, საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 5070 ლარი. წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი შეადგენდა 754 ლარს. 2017 წლის განმავლობაში გადახარჯვაა 5168 ლარის ოდენობით, გადახარჯვაა მხოლოდ საქონელი და მომსახურების მუხლში, მ.შ. კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებებისა და მაუწყებლობის ხარჯებიდან გაწეულია 3901 ლარით მეტი, ვიდრე გეგმით იყო განსაზღვრული, გადახარჯვები ანაზღაურებულია საკუთარი შემოსავლებისა და წლის დასაწყისში არსებული ნაშთის ხარჯზე.

ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის" ფინანსური საქმიანობის შესწავლისას გამოვლენილი გადახარჯვები გამოწვეულია ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვით, კერძოდ, გეგმის შედგენისას არ არის გათვალისწინებული საკუთარი შემოსავლები, რომლის განსაზღვრაც შესაძლებელი და პროგნოზირებადია.

ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას" შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული აქვს საშემოსავლო გადასახადი თვეების მიხედვით, განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადის შესახებ ინფორმაციით 2015 წლის განმავლობაში 17929 ლარი. 2016 წელს - 17825 ლარი და 2017 წელს - 19381 ლარი, რაც სრულად გადარიცხულია ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი. ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით და შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ანგარიშსწორება მიმდინარეობდა უნაღდო ანგარიშსწორებით 2016 წლის 1 თებერვლამდე GE24LB0115111431140000 საბანკო ანგარიშიდან, ხოლო 2016 წლის 1 თებერვლის შემდეგ ხაზინის მეშვეობით.

## ძირითადი რისკები

ობიექტის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

შიდა აუდიტის ობიექტის მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები:



სსიპ ხარაგაულის შ. ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა

[illegible]

№ [illegible] „31" მაისი 2018 წ

[illegible]
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
სამსახურის ხელმძღვანელს
[illegible]

[illegible]
[illegible] 25.05.2018 წლის № [illegible] წერილის, ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში 19.04.2018 – 21.05.2018 წ.წ. პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის პროექტის შესახებ, [illegible] შენიშვნები და წინადადებები.
პატივისცემით
[illegible]

შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო
სკოლის დირექტორი

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენების შესახებ:

2016 წლის 1 თებერვალს დადებულია ქირავნობის ხელშეკრულება, მაგრამ მოქირავნის მიერ არ მოხდა ფართის დაკავება მისივე ობიექტური მიზეზების გამო, (სიტყვიერად მოხსენა არ გამიკა სხვაში), მუშაობა დაიწყო ავეჯის ბოლოს, ორი თვე იმუშავა და გადაიხადა 100 ლარი, შემდეგ დატოვა ფართი.

მეორე ფართზე დროებით მექირავნესთან შეწყდება ხელშეკრულება და სურვილის შემთხვევაში აუქციონის წესით გაქირავდება.

მოსწავლეთა კონტინგენტთან დაკავშირებით წესრიგშია აღრიცხვის ჟურნალები, მოსწავლის პირადი საქმე, კონტინგენტის მოძრაობის ჟურნალები და სკოლის დამთავრების მოწმობების აღრიცხვის ჟურნალი, რომლებსაც შემდგომში გავამყარებთ აქტებით.

2016 წლის 6-16 სექტემბერს ჩემს ერთ მოსწავლესთან ერთად ვიმყოფებოდი მივლინებით თურქეთის რესპუბლიკაში, საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად, რაც დასტურდება „მომავლის ვარსკვლავებთან" დადებული ხელშეკრულებით, მივლინებაში ჩასწორებული თარიღი არის მექანიკური შეცდომა.

სამუსიკო სკოლის ბალანსზე რიცხული ერთი პიანინო ჩვენი საჭიროებისათვის გადავიტანეთ კულტურის სახლის სცენაზე, კონცერტების ჩასატარებლად, დღემდე ვესაჭიროება (კულტურის სახლს ინსტრუმენტი არ აქვს). აუცილებლობის შემთხვევაში დავაბრუნებთ სკოლაში.

2015 წლის მაისის თვეში ჩატარდა სკოლაში თ. ლურსმანაშვილის კონცერტი, რომელიც სამუშაო გეგმით არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ მაისის დღესასწაულებთან დაკავშირებით წარმოიშვა ღონისძიების ჩატარების აუცილებლობა, რაზედაც არის შესაბამისი ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაშვებულია მექანიკური ხარვეზები, რაც გათვალისწინებული და გასწორებული იქნება. ასევე გავითვალისწინებთ ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულებებში მკაფიოდ იყოს მითითებული სვლა-გეზების რაოდენობა და მარშრუტი.

რესტორნების მომსახურების შესახებ აღვნიშნავ, რომ ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ, 2016 წლის 8 მაისს ჩატარდა ფართომასშტაბიანი ღონისძიება-რევაზ ლაღიძის 95 წლის იუბილე, ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები კულტურის სამინისტროდან, კომპოზიტორთა კავშირიდან,

2

კონსერვატორიიდან, ასევე იმერეთის მხარის გუბერნატორი და სხვები. ვისარგებლეთ რესტორნის მომსახურებით, რაც აისახება ხელშეკრულებაში და თან ერთვის ხარჯების სია.

შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისას აქტში აღნიშნულია, რომ მოხდა ზოგიერთ მუხლში სახსრების გადახარჯვა, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან ბიუჯეტს ითვალისწინებდა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას. საბიუჯეტო სახსრები დახარჯულია ზუსტად იმდენივე, რაც ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული, ხოლო იგივე მუხლებით სხვა ხარჯები გაწეულია საკუთარი შემოსავლებიდან.

რაც შეეხება თქვენს რეკომენდაციას მოსწავლეთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის, უნდა ხდებოდეს პირდაპირ საბანკო ანგარიშსწორებით, სავსებით ვეთანხმებით, მაგრამ წლების განმავლობაში ვერ მოვახერხეთ ამ საკითხის სამართლიან ჩარჩოებში მოქცევა, რადგან მშობელთა უმრავლესი ნაწილი სწავლის საფასურს ბანკში არ იხდის, მოთხოვნის შემთხვევაში ხდება მოსწავლეთა გარიცხვა, რაც სკოლის შემოქმედებით მუშაობაზე უარყოფითად აისახება, ჩვენ კი დაცვითი მექანიზმი არ გაგვაჩნია, რადგან სამუსიკო სკოლა არის არასავალდებულო სახელოვნებო- საგანმანათლებლო კერა, იძულებული ვართ მოვმართოთ თხოვნით მუნიციპალიტეტის მერიას განსახილველად და სამართლიან, კანონიერ ჩარჩოებში მოსაქცევად, რათა შემდგომში ჩვენს მუშაობაში არ აისახოს კანონდარღვევად.

სხვა სახის შენიშვნები გათვალისწინებული და გამოსწორებული იქნება ჩვენს შემდგომ მუშაობის პროცესში.

ჩატარებული შემოწმება არის დეტალურად, მაღალი კვალიფიციური მიდგომით, რაც მისასალმებელია, რომ მომავალში ანალოგიური ხარვეზები აღმოიფხვრება და არ განმეორდება.

პატივისცემით

შოთა რუსთაველის სახელობის
სამუსიკო სკოლის დირექტორი ლალეშვილი

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები უნდა იყოს სრულყოფილი და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი;
2. სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისას, ხელშეკრულებაში ნათლად უნდა იყოს გაწერილი სვლა-გეზების რაოდენობა და მარშრუტები;
3. სარესტორნო, კვებითი მომსახურებისა და ფესტივალებში მონაწილეობასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში ან/და ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტებით უნდა დგინდებოდეს, თუ კონკრეტულად ვინ და რამდენმა ადამიანმა მიიღო აღნიშნული მომსახურება;
4. სამივლინებო დოკუმენტები უნდა იყოს გაფორმებული სრულყოფილად; მივლინებიდან დაბრუნებაზე ყოველთვის დაიწეროს ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი ბრძანება; მოხდეს დაუსაბუთებლად გაცემული სამივლინებო თანხის დაბრუნება;
5. გადახარჯვებისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების მაქსიმალურად შემცირებისათვის, ორგანიზაციის მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა დაიგეგმოს საკუთარი შემოსავლებიც და გეგმაში უნდა ჩანდეს რა ხარჯებისთვის იქნება იგი მიმართული;
6. სამუსიკო სკოლის ადმინისტრაციამ უნდა მოაწესრიგოს უზუფრუქტით გადაცემულ ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 3 ერთეული ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემა აუქციონის წესით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" თანახმად და მუნიციპალიტეტის წერილობითი თანხმობით;
7. თანამშრომელთა კორპორაციულ სატელეფონო ქსელში ჩართვის შესახებ ხელმძღვანელის მიერ გამოიცეს შესაბამისი აქტი;
8. მოსწავლეთა მიერ სწავლის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს პირდაპირ საბანკო ანგარიშსწორებით.
9. მოსწავლეთა სკოლაში მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანის, სკოლიდან გასვლისა და სკოლის დამთავრების შესახებ გამოიცეს ბრძანებები სკოლის დირექტორის მიერ წესდების შესაბამისად.

მონიტორინგი

2017 წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ განხორციელდა, სამსახურის მიერ მომზადებული 5 შიდა აუდიტორული დასკვნის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

2018 წლის 24-26 იანვარს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში განხორციელდა 2017 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების საფუძველზე შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც დადგენილია შემდეგი:

ობიექტს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები თითქმის არ აქვს გათვალისწინებული, კერძოდ, ნაწილობრივ ისევ მოუწესრიგებელია მუნიციპალური ქონების აღრიცხვის საკითხი და ისევ არ არსებობს მუნიციპალური ქონების ბაზა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები ისევ უფუნქციოდაა, ი/მ დავით გაჩეჩილაძესთან დადებული იჯარის ხელშეკრულების გაუქმებისა და საიჯარო ქირის ამოღების საკითხი ისევ მოუგვარებელია, დასუფთავების მოსაკრებლებისგან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულმა თანხებმა მოიმატა, თუმცა, დასაბეგრი ობიექტების ნაწილიდან ისევ არ ხდება გადასახადის ამოღება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ თავის საქმიანობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის გაწეული მუშაობის შეფასების საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 17.08.2017 – 05.10.2017 წ.წ. ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციები ობიექტის მიერ თითქმის არაა გათვალისწინებული.

2. ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009"

აღნიშნულ ა(ა)იპ-ს მონიტორინგის ნაცვლად ჩაუტარდა არაგეგმური სრული შიდა აუდიტორული შემოწმება, რომელიც აღნიშნულ ანგარიშში მოცემულია.

3. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება"

2018 წლის 02-04 აპრილს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებაში" განხორციელდა 2017 წლის 05-28 დეკემბერს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების საფუძველზე, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც დადგენილია შემდეგი:

1. ობიექტის მიერ საწვავის ხარჯვის აღრიცხვა ნაწარმოებია სათანადო წესით;
2. საწმენდი საშუალებები მიმდინარე წელს შესყიდული არ ყოფილა და თავისთავად არც ხარჯვის აღრიცხვაა ნაწარმოები;
3. შესყიდვები ნაწარმოებია კანონის მოთხოვნათა დაცვით;
4. დარაჯისა და მექანიკოსების შენობების სამშენებლო სამუშაოები ჯერ კიდევ არაა დასრულებული და აღნიშნულ საკითხზე ამ ეტაპზე მონიტორინგის ჯგუფი ვერ იმსჯელებს;
5. საშტატო განრიგში არსებული ხარვეზები გასწორებულია და ობიექტის უფროსის მიერ შიდა აუდიტორული შემოწმების პერიოდის შემდეგ შედგენილი დოკუმენტები და საშტატო განრიგში ასახული ცვლილებები დროში ემთხვევა ერთმანეთს;
6. შრომით ხელშეკრულებებში დეტალურადაა ასახული შრომითი ურთიერთობის ყველა პირობა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების" მიერ თავის საქმიანობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის გაწეული მუშაობის შეფასების საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 05.12.2017-28.12.2017 წ.წ. ჩატარებულ შიდა აუდიტორულ ანგარიშში მითითებული დასკვნები და რეკომენდაციები ობიექტის მიერ სრულადაა გათვალისწინებული.

4. შპს „ხარაგაული 2011"

2018 წლის 16-18 აპრილს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შპს „ხარაგაული 2011_ში" განხორციელდა 2017 წლის 01-28 დეკემბერს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების საფუძველზე, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც დადგენილია შემდეგი:

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ კვლავაც მოუწესრიგებელია ობიექტის იურიდიული მისამართის საკითხი, ტექნიკის ნაწილი ისევ გაბნეულია და არ მომხდარა გამოუსადეგარი ტექნიკის რეალიზაცია, შესყიდვების გეგმა არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში, არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია, არ არის შედგენილი ორგანიზაციის ბალანსი, ტექნიკას არ აღირიცხება ცვეთა, ასევე არ ადგენს ქონების წლიურ დეკლარაციას და არ იხდის ქონების გადასახადს.

აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან ობიექტის მიერ გათვალისწინებულია მხოლოდ ხელფასების დარიცხვის საკითხი. შესაბამისობაა დამტკიცებულ საშტატო განრიგს, თანამშრომელთა სამსახურში დანიშვნის ბრძანებებს,

ხელშეკრულებებსა და ხელფასის უწყისებს შორის. საშემოსავლო გადასახადი გადახდილია დროულად, ბრძანებები და ხელშეკრულებები დანომრილია.

5. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"

2018 წლის 17-18 მაისს, ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრში" განხორციელდა 2018 წლის 10 იანვრიდან 12 თებერვლამდე პერიოდში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების საფუძველზე, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც დადგენილია შემდეგი:

1. საშტატო განრიგში არსებული თანამდებობრივი სარგოები შეესაბამება იმავე საშტატო განრიგის მიხედვით დანიშნულ თანამშრომელთა ფაქტობრივ ხელფასებს.

2. სამივლინებო მოწმობები კანონის დაცვითაა გაფორმებული, გამოცემულია ბრძანებები, როგორც წასვლის, ასევე, დაბრუნების შესახებ.

3. ბუღალტრის მიერ შედგენილი და გახსნილია „მთავარი წიგნი".

4. შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები, დოკუმენტები სრულადაა ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრის" მიერ თავის საქმიანობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის გაწეული მუშაობის შეფასების საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 10.01.2018 წ. - 12.02.2018 წ. პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორულ ანგარიშში მითითებული დასკვნები და რეკომენდაციები ობიექტის მიერ სრულადაა გათვალისწინებული.

დასკვნითი ნაწილი

სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად ძირითადად გამოვლენილია ხარვეზები შესყიდვების პროცედურებთან, მატერიალური მარაგების კანონთან შესაბამის როგორც აღრიცხვა-კონტროლთან, ასევე ხარჯვასთან და საშტატო განრიგებთან დაკავშირებით. გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია

შიდა აუდიტის ობიექტების მიერ, მაგრამ გარკვეული ხარვეზები კვლავ რჩება და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური აქტიურად მუშაობს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების მონიტორინგზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის

სამსახურის უფროსი ________ გიორგი ჭყოიძე